





მ რ ა მ ა დ ნ ი ა ი რ ნ ი

სოლინში, ეფესოს მთავარი.

მგეონი, სირაკუზელი ვაჭარი.

ანტიფოლე ეფესელი

ანტიფოლე სირაპუზელი

დიონიო ეფესელი

დიონიო სირაპუზელი

ბალთაზარი, ვაჭარი.

ანჯელო, ოქრომჭედელი.

ტყუპები, ევენისა და ემილიას შეიღები, რომლებიც
არ იცნობენ ერთმანეთს.

ტყუპები, ანტიფოლე ეფესელისა და ანტიფოლე სირაპუზელის მსახურები.

ვაჭარი, ანტიფოლე სირაკუზელის მეგობარი.

აინი, მასწავლებელი და ჯადოქარი.

ემილია, ეგეონის ცოლი და ეფესოს დედათა მონასტრის
წინამდღვარი.

მდრიანა, ანტიფოლე ეფესელის ცოლი.

ლუსიანა, მისი და.

ლუსი, ელრიანას მსახურები.

კურტიზანი ჩალი.

ციხის ზედამხედველი, ბოჩაული, აჩალა, მსახილი

მოქმედების აღგილი — ეფესო.



მომავლება პირველი

სურათი პირველი

დარბაზი შთავრის სასახლეში.

ჭრილიან მთავარი, ეგეონი, ციხის ზედამხსეღვე-
ლი, ბოჭაული და ამაღა.

კუთხი

წელი დაყოვნებ, ო, სოლინუს, აღსასრულს ჩემსას,
შენ სასიკვდილო განაჩენით მომიტან შევბას.

მთავარი

სირაკუშელო, ამათა შენი ვედრება,
რეკრძობით ეს კანონი არ დაირღვევა!
წენ შორის მტრობა, სიძულვილი, უთანხმოება
ტექნი მთავარის სიავაცემ გამოიწვია,
რაც ჩაიდანა მან ეფესოს ვაჭრების მიმართ,
როცა ჩვენებურთ დასახსნელი არ ეყოთ ფული,
აქვთმა მთავარმა განაჩენა აღბეჭდა სისხლით;
თ ამიტომ პატივბით ვერ შევიწყნარებთ.
რა ჩვენსა და იმ თქვენს ვერაგ თვისტომთა შორის
რუნდობელი ჩამოვარდ შუღლი და მტრობა,
უსცესების საკრებულომ ჩვენ აგვიკრძალა
არაკუშასთან ყოველგვარი ურთიერთობა,
ა უფრო მეტიც —
უფრო ეფესოს შეამჩნევენ სირაკუშაში,
ა სირაკუშელს აქ, ეფესოს შემოვარენში,
ა უნდა მოკვდეს, ქონება კი მთავარს გადეცეს,
ა გაიღოს უკველობად, ათასი მარკა,

თვისი სიცოცხლის საფასური გამოსახულიდი.
შენი ქონება ასი მარკის ფასიც არ არის.
აი, ამიტომ შენ სიკვდილით უნდა დაგსაჯონ.

ეგეონი

როდესაც შენი განაჩენი აღესრულება,
ჩემს ტანჯულ ყოფას მწუხრზე შვება მოევლინება.

მთავარი

სირაკუშელო, აბა ერთი, მოკლედ გვითხარი
ჩვენთან ჩამოსვლის ჭეშმარიტი შენი მიზანი.

ეგეონი

მიმძიმს მე ჩემი გატანჯული ცხოვრების თხრობა,
იცოდეს ყველამ, ეს სასჯელი განებამ დამდო
და არა ჩემმა სიბოროტემ, აემა კაცობამ.
მოგითხრობთ, როგორც მოვახერხებ დამწუხრებული.
სირაკუშაში დავიბადე, შევირთე ცოლი
და ჩემს მეუღლეს მივნიჲ ბედნიერება.
არც მე ვიყვი უმაღური ჩემი ბედისა.
ჩვენი სიძლიდრე მატულობდა, რაღანაც ხშირად
ვმოგზაურობდი სარფიანად ეპიდამნუმში².
მერე კი ჩემი შუამავლის გარდაცვალებამ
და აღალებდზე მიგდებულმა ქრისტე ჩემმა
მეუღლის ალერსს მაიძულა განვშორებოდი.
ექვსი თვის შემდეგ, ოუმცა ძლიერ დასუსტებულმა,
ქალების ხვედრი საამური სასჯელისაგან,
ეპიდამნუმში უცნებელმა ჩამომაკითხა.
ცოტა ხნის შემდეგ ბედნიერი შეიქმნა დედა,

მან საოცარი მშვენიერი ტყუპები შობა.

საკვირვლად ჰეგანდნენ ერთმანეთსა ჩვენი შვილები, ერთურთისაგან გაარჩევდით მხოლოდ სახელით. სწორედ მაშინვე, იმავე დღეს, იმავ ფუნდუკში, ვანშე დიაცმა ბოგანიმაც, შვა ტყუპა ძმები, ვერ გაარჩევდით თქვენ რომელთაც წყვის წვეთებივით. რადგან დარიბინი და დატაკანი იყვნენ შშობლები, ჩემს ტყუპებისთვის შევისყიდე მე ორივენი.

ჩემი მეუღლე, თვის ტყუპებზე გადაეუდა, არ მასვენებდა, მოითხოვდა შინ დაბრუნებას.

დავვევ მის ნებას უხალისოდ, გულდათუქული.

გეშში ჩავსხედით,

ეპიდამნუმსა რომ გავშორდით მცირე მანძილით, ქარის დამყოლმა ღრმა მორევმა აღვიძირა შიში და ქარიშხალმა გაგვიწყვიტა ძაფი იმედის.

ზეცა პირქუში, მოღუმული, შიშით შეპყრობილთ ჩვენს გარდაუვალ აღსასრულზე მიგანიშნებდა.

არ ვინაღვლებდი, მარტოდმარტო რომ ყვითლიყავ, მაგრამ მეუღლის შემზარევმა მოთქმა-გოდებამ, გამოწვეულმა კარს მომდგარი უბედურებით, ნორჩი ბავშვების გულსაკლავმა წივილ-კივილმა, რომელთაც არა ესმოდათ რა მომავალ საფრთხის, მე მაძულა ხსნა მეპოვნა ჩვენთვის ყველასთვის.

თავი გადავდე, არაფერი არ დავიშურუ.

მეუღვაურები ნავში ჩასხდნენ თავის საშველად, ჩვენ მარტოდმარტო მიგვატოვეს ბედის ანაბრად. ჩემმა მეუღლემ ტყუპასცალთა უფროსი წყვილი ქარიშხლისათვის სამარქაფო ანდას მიაბა, მე კი მივაბი ტყუპასცალთა მეორე წყვილი.

მერე მივებით ჩვენც, ცოლ-ქმარნი ანდის ბოლოებს და ზღვის დინებას მინდობილებს ასე გვეგონა, ბობოქარ ტალღებს ჩვენ მიგვავილით კორინთოსაკენ. მერე კი, როცა გადმოხედა მზემ დედამიწას და მიმოფანტა ავის მოქმედი შავი ბურუსი, როცა ნანატრმა მზის ნათელმა დააცხრო დელვა, ჩვენენ მცურავი დავინახეთ როი ხომალდი:

კორინთელთა და მეორე კი ეპიდავრუსის³.

მოგვიახლოვდნენ – ნება დამრთეთ, შევწყვიტო თხრობა, ამ ამბის ბოლო ნათელია უკვე თქმულიდან.

მთავარი

არა, განაგრძე, არ შეწყვიტო ამბავი ასე, ჩვენ შებარალება მანიც ძალგვიძის, თუ ვერ გიწყნარებთ.

ეგეონი

დმერთებს რომ ჩვენთვის დახმარების მოეცათ ხელი,

შეუბრალებლებს მე მათ ახლა არ ვუწოდებდი.

სულ ათიოდე მილით იყვნენ ხომალდი ჩვენგან,

ვეებერთელლა, უზარმაზარ კლდეს რომ შევასკდით.

შუა გაიპო ჩვენი გემი, ჩვენი იმედი

და, აგრერიგად უსამართლოდ განშორებულებს,

ბელმა გვარგუნა ერთად ურვაც და სიხარულიც.

გემის ნაწილი მეუღლით და ტყუპისცალებით,

მსუბუქი წონით, მაგრამ სევდით დამძიმებული, ელვის სისწრაფით ქარიშხალმა საღდაც წაიღო.

თვალი მოვეარით, სამივენი რომ აიყვანეს.

ჩვენი გუმანით, კორინთელმა მებაღურებმა.

ჩვენ სხვა ხომალდმა აგვიყვანა და, როს გაიგეს, ჩვენ რომ დაგიხსნეს, რაოდენი პატივი ერგოთ, გულით მიგვიღეს, გვიმასპინძლეს უბედურ სტუმრებს. ჩვენი ხომალდი სწრაფმავალი რადგან არ იყო, იმ მებაღურებს ვერ წავართვით დატყვევებული და ამიტომაც შინისაკენ ავიღეთ ვეზი.

თქვენ მოისმინეთ უიღბლობის ჩემი ამბავი, ჭირმა, ვარამმა მე სიცოცხლე გამისანგრძლივა, თავგადასავალს ნაღვლით საესეს რომ მოგითხრობდით.

მთავარი

გაზიცებ ყველას, ვიზეც სწუხარ, დამდე პატივი და დაწვრილებით მომიყევი, რა იყო ზევდრი ყველა თქვენგანის, დღევანდლამდე, შენიც და მათიც.

ეგეონი

უფროსმა ვაჟმა, თვალისჩინმა უსაყვარლესმა, თვრამეტი წლისა რომ შეიქმნა, მმა მოიკითხა, არ მომასვენა, მმის საძებრად ის გაეშურა.

თან გაიყოლა მან შასხური თვის ბედში მყოფი, საკუთარ მმისა ვინც იცოდა მხოლოდ სახელი.

მე დაკარგული გავიშვილის მოსანახავად, რომელიც მყავდა იმ ვაჟიშვილს ვგონებ ვკარგავდო.

ხუთი ზაფხული გავატარე შორს საბერძნეთში,

მთელი აზია ოთხივ კუთხივ მე დავიარე,

შინ მიმავალმა უფესოშიც შემოვიარე.

თუმც გადამიწყდა მე ცოლ-შვილის პივნის იმედი, მანიც არ მინდა არა ვნახო კუთხე ისეთი,

სად ადამიანს ძალუეს პპოვოს თავშესაფარი.

მაგრამ აქ მინდა დავასრულო ჩემი ამბავი,

მე ბელნიერი ვიქენბოლი ღროულ სიკვდილით, რომ ჩემს ხეტიალს ეთავმდება სიცოცხლე მათი.

მთავარი

ბედშავო, თვათონ ბედისწერას აურჩევინარ გამოუთმელი მწუხარების შენ მატარებლად.

მერწმუნა, რომ არ იძღალვიდეს ჩვენი კანონი, ჩემი გვირგვინი, ჩემი ფიცი, ჩემი დირსება,

მე მფარელობას უცალობლად შენ გაგიწევდა.

მაგრამ რადგანაც განაჩენი არ შეიცვლება,

ხელს გაგიმართავ მე დირსების ხელყოფის ფასად მოინახულე მეგობრები დღეს ეფესოში,

საჭირო თანხა დაესხნეს, დაიხსენ თავი,

თუ არა, მაშინ სასიკვდილოდ ხარ განწირული,

ზედამხედველო, ყურადღებით აღევნე თვალი!

ზედამხედველი

დაე, აღსრულდეს ნება თქვენი, ბატონი ჩემო.

ე გ ე თ ნ ი

ბედდაცარული, ბედკრული და ბედდაწყვევლილი,
ეგეონ მიღის, რომ გადასდოს დასჯა სიკვდილით.

(გადის.)

ს უ რ ა თ ი მ ა რ ი ე

ბაზრის მოუდანი.

შემოდიან ა ნ ტ ი ფ თ ლ ე ს ი რ ა კ უ ზ ე ლ ი, დ რ თ მ ი ო
ს ი რ ა კ უ ზ ე ლ ი და ვ ა ჭ ა რ ი.

ვ ა ჭ ა რ ი

პოდა, თქვით, რომ ხართ ბინადარნი ეპიდამნუმის,
აელა-დიდება თქვენი სულმთლად რომ არ დაკარგოთ.
აქ დღეს ერთი თქვენებური ვანშე ვ ა ჭ ა რ ი
აქ ჩამოსვლისთვის გააგზავნეს საპყრობილები.
რადგან საბრალომ თავი ვეღარ გამოისყიდა,
აქ ეფესოში, არსებული კანონის ძალით,
სიკვდილით უნდა დაისაჯოს როს მშე დაღლილი
და დაქანცული დასავლისკენ გადაიხრება.
უული, ბატონო, მე რომ მანდეო, უკან მიიღეთ;

ა ნ ტ ი ფ თ ლ ე ს ი რ ა კ უ ზ ე ლ ი

დრომით, ფული ჩვენს ფუნდუქში, „კენტავრს“ წაიღე,
ფეხმოუცვლელად ჩემს მოსკვლამდე იქ დამელოდე.
ცოტა ხანიც და სადილობის მოწევის ჟამი,
სადილობამდე მე ქალაქში მივიგლ-მოვივლი,
შენობებსა და სავაჭროებს თვალსაც შევავლებ,
მერე კი მოვალ და ფუნდუქში გამოვიძინებ,
ამლენ წანწალით არაქათი გამომელია.
წადი, წაიღე.

დ რ თ მ ი ო ს ი რ ა კ უ ზ ე ლ ი

სხვა ჩემს ადგილზე თქვენ სიტყვაში გამოგიჭერდათ
და ფულიანად, დამიჯერეთ, გაძეცეოდა.

(გადის.)

ა ნ ტ ი ფ თ ლ ე ს ი რ ა კ უ ზ ე ლ ი

სანდ ბიჭია, მეტად ჩშირად, ბატონო ჩემო,
როცა ათასგარ საზრუნვით წუხილი მიპყრობს,
კი ოუზჯობით გულს სევდიანს მიმნიარულებს.
იქნება ერთად გაგვარა-გამოგვეარა,
მერე კი ერთად გვესაღილა, ჩვენთან, ფუნდუქში.

ვ ა ჭ ა რ ი

ჰევე ვ ა ჭ რ ებმა დამპატიექს, ბატონო ჩემო,
იმედი მაქვს, რომ სარფიანად გავურიგდები.
აა, ამიტომ ბოლიშს გიხდით, ხუთ საათზე კი,
თუ მოისურვებთ, ჩვენ ერთმანეთს შეეხვდეთ ბაზარში.
შუალმებდე მოვილხნოთ, დრო გავატაროთ,
ახლა მე საქმე დღევანდელი მიხმობს, ბატონო.

ა ნ ტ ი ფ თ ლ ე ს ი რ ა კ უ ზ ე ლ ი

მაშ, საღამომდე, მე კი მანამ გავისეირნებ.

ვ ა ჭ ა რ ი

ბატონო ჩემო, მე გისურვებთ კმაყოფილებას.
(გადის.)

ა ნ ტ ი ფ თ ლ ე ს ი რ ა კ უ ზ ე ლ ი

ვინც მე მისურვებს სიხარულს და კმაყოფილებას,
მისურვებს ამის არასოდეს არ აღსრულებას.

ამ სამყაროში მე ხომა ვარ წყლის ერთი წვეთი,
ოკეანეში რომ დაეძებს მეორე წყლის წვეთს
და მის ძებნაში შეუმჩნევლად თვით იკარგება.
ასე დავეძებ რა ხანია დედას და ჩემს ძმას
და მათ ძებნაში, უბედური, მე ვიკარგები.

(შემოდის დ რ თ მ ი ო ე ფ ე ს ე ლ ი.)

აი, მოვიდა მატიანე ჩემი ცხოვრების²,

რა ამბავა, ასე მალე რატომ დაბრუნდი?

დ რ თ მ ი ო ე ფ ე ს ე ლ ი

მალე დავბრუნდი, თუ ძალიან დავიგვიანე?

მე შამფურიდან გოჭი ცეცხლში ჩამისრალდა,
ხორლ ყვერული მთლად დამეწვე და დამეწრაკა.
ჩვენმა საათმა რომ, ბატონო, თორმეტჯერ დაჲკრა³,
თქვენმა მეუღლემ, ქალბატონმა, მე ყბაში ვამკრა.
ხორცი განელდა და მეუღლე თქვენი გაცეცხლდა,
ხორცი განელდა, რადგან მოსკლა შეგაგვიანდათ,
შეგაგვიანდათ, რადგან პური არა გშიოდათ,
არა გშიოდათ, რადგან ალბათ სადღაც შეთოხლეთ,
ჩვენ კი, რომელთაც ვიცით ფასი მარხვის, ლოცვების,
მოვინანიეთ თქვენ მაგიერ თქვენი ცოდვები.

ა ნ ტ ი ფ თ ლ ე ს ი რ ა კ უ ზ ე ლ ი

მაგ გვდას პირი მოუკარი და ეს მითხარი,
სად არის ფული, მე დღეს დილით შენ რომ მოგეცი.

დ რ თ მ ი ო ე ფ ე ს ე ლ ი

ის ექვსი პენსი⁴, თქვენ რომ ბრძანეთ გასულ ოთხშაბათს,
სარაჯს მიციცი ქალბატონის სამუშავისო,
იმას მივეცი, მე გროშიც კი არ დამრჩენია.

ა ნ ტ ი ფ თ ლ ე ს ი რ ა კ უ ზ ე ლ ი

უცხო მხარეში ვიმყოფებით, როგორ გაბედე
ამდენი თანხის ალალბედზე შენ დატოვება?

დ რ თ მ ი ო ე ფ ე ს ე ლ ი

სადიღლობისას იოხუნჯეთ, გემუდარებით,
მე ქალბატონმა გამომგზავნა თქვენთან შიკრიკად
და რომ უთქვენოდ შინ დაბრუნდე, გამომაბრუნებს,
ცემას დაუწებს ამ ჩემს გოგრას თქვენზე ნაწყენი.
ჩემი კუჭივით თქვენი კუჭი საათს რომ ჰგავდეს,

თქვენ უშიკრიკოდ წახვიდოდით სახლში სადილზე.

ა ნ ტ ი ფ თ ლ ე ს ი რ ა კ უ ზ ე ლ ი

კმარა, დრომით, ხუმრობისთვის მე არ მცალია,
ოხუნჯობანი სხვა დროისთვის შემოინახე,
სად არის ოქრო, შესანახად რომ მოგაბარე?

დ რ ო მ ი ო ე ფ ე ს ე ლ ი

მე მომაბარეთ? ჩემთვის ოქრო არ მოგიციათ.

ა ნ ტ ი ფ თ ლ ე ს ი რ ა კ უ ზ ე ლ ი

კმარა, გეფოფა, არამზადავ, თავის ავდება!
მითხარი, როგორ შესარულე შენ დავალება?

დ რ ო მ ი ო ე ფ ე ს ე ლ ი

ნაბრძანები მაქვს, შინ სადილად თქვენი წაყვანა,
„ფენიქსში“ ცოლი და ცოლისდა გელოდებიან.

ა ნ ტ ი ფ თ ლ ე ს ი რ ა კ უ ზ ე ლ ი

მითხარ, დრომით, მე ქრისტიან გამეც პასუხი,
სად გადამალე საიდუმლოდ შენ ჩემი ფული,
თორებ მაგ გოგრას ცარიელსა შუა გაგიძობ,
რომ უდროო დროს არ იხუმრო, არ იოხუნჯო.
სად არის-მეტქი, რომ მოგეცი ფულის ნიშნები?

დ რ ო მ ი ო ე ფ ე ს ე ლ ი

თქვენი ნიშნები ზოგიერთი გოგრას მატყვაია,
ქალბატონისგან ნაბომები მიმშვენებს ბეჭებს,
თქვენ სხვა ნიშნები ჩემთვის ხომ არ გიბომებიათ?
უფალო ჩემო, ეგ ნიშნები მე რომ მოგიძლვნათ,
მერწმუნეთ, თქვენ მათ ვერ აიტანთ და ვერ გაუძლებთ.

ა ნ ტ ი ფ თ ლ ე ს ი რ ა კ უ ზ ე ლ ი

ქალბატონისო? ქალბატონი ვინა გყავს, მონავ.

დ რ ო მ ი ო ე ფ ე ს ე ლ ი

თქვენი მეუღლეო, მოწყალეო ჩემო ხელმწიფევ,
ვინაც უთქვენოდ, დიდებულო, მარხვას აპირებს
და გთხოვთ სადილად უჟველად „ფენიქსს“ წახვიდეთ.

ა ნ ტ ი ფ თ ლ ე ს ი რ ა კ უ ზ ე ლ ი

რაო, რა ბრძანე? დღისით, მზისით ასე მატყუებ?
შე სალახანა, მაგისათვის აი, ესეც შენ.

(გაარტყამს.)

დ რ ო მ ი ო ე ფ ე ს ე ლ ი

რისთვის ბატონო? თუ ხელები არ დაიმოკლეთ,
ისე მოვკურცხლო, რომ ქუსლებით ნაპერწკლებს ვყრიდე
(გადის.)

ა ნ ტ ი ფ თ ლ ე ს ი რ ა კ უ ზ ე ლ ი

სიცოცხლეს ვფიცავ, ეს უქარა ვგონებ გაქურდეს,
სავსე არისო თაღლითებით მთელი ქალაქი,
თვალის ამხვევი თვალთმაქცებით, ოინბაზებით,
ჯალოქებითა, რომ გიმღვრევენ ჭკუა-გონებას,
ავი ქაჯებით აწვალებენ, რომ სულს და სხეულს,
გაქნილ ფლიდებით, შენიღბული ქურდ-ბაცაცებით.
თუ მართალია, აյ მე დიდხანს არ გავჩერდები,
„ფენტავრში“ წავალ, იქ მოვტები დრომიოს, მონას,
მაგრამ ვშიშობ, რომ ვერ მივიღებ ჩემს ფულს თუნდ
(ცოტას.)

(გადის.)

მოძახვადა მორია

ს უ რ ა თ ი პ ი რ ვ ე ლ ი

ა ნ ტ ი ფ თ ლ ე ვ ე ვ ე ლ ი ს ა ხ ლ ი.

შემოდიან ე დ რ ი ა ნ ა და ლ უ ს ი ა ნ ა.

ე დ რ ი ა ნ ა

ადარც ქმარი ჩანს, აღარც მონა დაბრუნებულა,
თავის ბატონის საძებნელად რომ გავაზავნე.
ხომ არის ახლა, ლუსიანა, ორი საათი?

ლ უ ს ი ა ნ ა

გაჭარი ვინმე ანტიფოლეს დაპატიჟებდა
და სასადილოდ წავიდოდნენ ისინი სადმე.
ჩემო დაიკო, ვისადილოთ, ნუ სწუხარ ასე.

მამაკაცი ხომ საკუთარ თავს თვითონ განავებს,
მას ხომ დრო ურჩევს, უკარნაზებს წასვლა-წამოსვლას.
რადგან ასეა, ჩემო კარგო, იყავ მომთმენი.

ე დ რ ი ა ნ ა

რად უნდა პქონდეთ კაცებს მეტი თავისუფლება?

ლ უ ს ი ა ნ ა

გარეთ აქვთ საქმე და ეს აძლევთ ამის უფლებას.

ე დ რ ი ა ნ ა

რატომ არ მოსწონს ანტიფოლეს, თუ გაველ სადმე?

ლ უ ს ი ა ნ ა

ცოლის სურვილთა ქმარი, დაო, არის სადავე.

ე დ რ ი ა ნ ა

კარებს შეშვენით, ლუსიანა, იცი, სადავე.

ლ უ ს ი ა ნ ა

საშიში არის ჩვინთვის ჭარბი თავისუფლება,
ზეცის ქვეშ რაც კი რამ სულდგმულობს — დედამიწაზე,
ზღვაში და ცაში, ედრიანა, ყველას აქვს ზღვარი;
თევზი, ნადირი და ურინველი დედათა გვარის,
ხომ მორჩილია, ჩემო დაო, თავისი მამრის?

კაცს ტოლს ვან უდებს, ბატონია იგი ყოველის,
მღელვარე ზღვების, თვალუწვდენი საშაროს ვრცელის,
სულდგმულთა შორის მას აქვს ჭეუაც, დიდსულოვნებაც,
და როს კაცია, ედრიანა, ქალის ბატონი,
ქალის ვალ ა მამაკაცის იყოს დამყოლი!

ე დ რ ი ა ნ ა

აი, ამიტომ უსრობი, დაო, შენ გათხოვებას.

ლ უ ს ი ა ნ ა

ვუფრთხი, ძვირფასო, სარეცელის საშიშროებას.

ე დ რ ი ა ნ ა

ქმარს რომ გაჰყვები, ლუსიანა, დამორჩილდები?

ლ უ ს ი ა ნ ა

თუ შევიყვარე, დიახაც, რომ დავმორჩილდები.

ე დ რ ი ა ნ ა

სხვას რომ გადაჰყვეს, ლუსიანა, რას იზამ მაშინ?

ლ უ ს ი ა ნ ა

დაველდები მოთმინებით მის მოსვლას სახლში.

ე დ რ ი ა ნ ა

მოთმენ, როცა ეჭვებისთვის არ გაქვს საბაბი.
ბედით განწირულთ ჩვენც გვმშვიდებთ, როცა ტირიან,
მაგრამ ჩვენ თუკი აღმოეჩნდებით იმათ ყოფაში,
ჩივილს და ვიშვიშს, ჩემო კარგო, თავად მოვყვებით.
ვიღრე არა გვაგს მოღალატე, ბოროტე ქმარი,
სხვას ურჩევ იყოს უშფოთველი, მშვიდი და წყნარი,
მაგრამ, დაო, თუ გიღალატეს, მოგექცენ ავად,
თვინიერებას, დამიკერე, დაპგმობ შენ თავად.

ლ უ ს ი ა ნ ა

კარგი, გეყოფა, გავთხოვდები და მაშინ ვნახავ,
აი, დრომიოც, შენი ქმარი იქნება მასთან.

(შემოდის დრომი ე ფ ე ს ე ლ ი.)

ე დ რ ი ა ნ ა

მითხარ, მოვიდა ის ჯანჯალი შენი ბატონი?

დ რ ო მ ი ო ე ფ ე ს ე ლ ი

გეახლათ, ჩემი ყურები გახლავთ ამის თავმდები.

ე დ რ ი ა ნ ა

ელაპარაკე? თქვი რა გითხრა, გამაგებინე.

დ რ ო მ ი ო ე ფ ე ს ე ლ ი

მისი სიტყვები ისე მომხვდა ყურებში, რომ თავი და
ბოლო ძლივს გავარკვიე.

ლ უ ს ი ა ნ ა

გელაპარაკა გაურკვევლად და ვერ მიუხვდი?

დ რ ო მ ი ო ე ფ ე ს ე ლ ი

ისე გემოზე მთხლიშა, რომ კარგად ვიგრძენი, ოღონდ
რატომ, ამას ვერ ვიტყვი.

ე დ რ ი ა ნ ა

შინისკენ მოდის? ეს მითხარი, გემუდარები,
არ შეგიტყვა, რომ სურს ჩემი გულის მოგება?

დ რ ო მ ი ო ე ფ ე ს ე ლ ი

ისე გაშმაგდა, ქალბატონო, როგორც რქოსანი.

ე დ რ ი ა ნ ა

როგორც რქოსანი, მეუბნები, შე არამზადა?

დ რ ო მ ი ო ე ფ ე ს ე ლ ი

არ არის იგი, მართალია, რქოსანი ქმარი,
მაგრამ ჭეუაზე, გულიცებით, აფრაკად არა.
როცა ვუთხარი, შინ სადილად წავიდეთ-მეოქი,
ქიათხა, ათასი მარკა ოქრო რა უყვიო.

ვუთხარი, დროა სადილობის, მან ოქრო მკითხა,
ხორცი დაიწვა, მოვახსენე, ოქრო იგითხა,
შინ წამობრძანდით, შევეზვეწე, ოქრო იკითხა,
რა უყვიო, არამზადა, ათასი მარკა.

გოჭი დაიწვა, მოვახსენე, ოქრო იკითხა,
თქვენ ქალბატონი გელოდებათ როცა ვუთხარი,
ჯანდაბას შენი ქალბატონი, აი, ეს მითხრა,
ვან ქალბატონი, მიბასუხა, რა ქალბატონი.

ლ უ ს ი ა ნ ა

ეს ვინა თქვა?

დ რ ო მ ი ო ე ფ ე ს ე ლ ი

ჩემმა ბატონმა.

არ ვიცი სახლი, არც ცოლიო, არც ქალბატონი,
დანაბარები მას ენით არ შემოუთვლია,
მაღლობა იმას, მე პასუხი ზურგზე ამკიდა,
ჩემმა ბატონმა, ერთი სიტყვით, კარგად გამტყიბა.

ე დ რ ი ა ნ ა

გაბრუნდი უკან, მომებნე და აქ მოიყვანე.

დ რ ო მ ი ო ე ფ ე ს ე ლ ი

უკან გავბრუნდე, რომ ნაცემი ისევ დავბრუნდე?
დღოს გულასათვის გეხვეწებით, სხვა გააგზავნოთ.

ე დ რ ი ა ნ ა

მონავ, ეგ გოგრა შუაზე არ გამახეთქინო!

დ რ ო მ ი ო ე ფ ე ს ე ლ ი

ჩემი ბატონი კი დამადებს განივ იარას
და წმი ინივით თავზე ჯვარი დამეხატება.

ე დ რ ი ა ნ ა

მოუსვი, ყბედო, და ბატონი შინ მოიყვანე.

დ რ ო მ ი ო ე ფ ე ს ე ლ ი

ბურთი ხომ არ ვარ, აქეთ-იქით რომ მაბურთავებთ,
დალოცვილებო, ტყავი მაინც გადამაკრით.

(გადის.)

ლ უ ს ი ა ნ ა

დამშვიდდი დაო, გაბრაზება სულ არ გიხდება.

ე დ რ ი ა ნ ა

ლამაზმანებთან მხიარულოს ჩემი რჩეული,
მე კი შინ ვზივარ, ხვევნა-ალერს მონატრებული,

ასაკის გამო ლოყები მაქვს იქნება მკრთალი?

ამაში ხომ მას, ჩემო დაო, მიუძღვის ბრალი.

ცოცხალ ვონებას გულგრილობა აჩლუნებს ისე,
როგორც ნატეხი მარატილოს მკვრივი და მყარი.

ლამაზმანების სამოსელმა დაუვსო თვალი?

მიყიდოს, ჩემი ყველაფერი ხომ მისი არი?

ქმრის თანებმა პირისახე დამიმახიჯვეს

და მზიურ მზერით მომანიჭებს კვლავ სილამაზეს,
ის კი გარეულ ირყმივით ევლება ღობეს,

შინიდან გარბის, ჩემო კარგო, მე მარტო მტოვებს.

ლ უ ს ი ა ნ ა

ეჭვიანობა შენევ გავნებს, ჩემო ძვირფასო.

ე დ რ ი ა ნ ა

სულელისაგან ეპატიოს იქნებ ცოდვანი,
შინ იჯდებოდა, რომ სხვა ქალზე არ ჰქონდეს თვალი.

მე ის ყელსაბამს რომ შემპირდა, ხომ გახსოვს დაო,

ნეტა პირობას ანტიფოლე გადაუჩვევდეს

და ჩემს სარეცელს წმიდათწმიდას არ შეღახვდეს.

ჩემი მშვენება ანტიფოლეს სულ არ ახარებს

და მე ტირილი, ოხერა-კვნესა დამასამარებს.

ლ უ ს ი ა ნ ა

ვინ იცის, ქვეყნად რამდენია შეყვარებული,
გიჟი, სულული, ეჭვისაგან დამონებული.

ს უ რ ა თ ი მ ე რ ი რ ე

მოედანი.

შემოდის ა ნ ტ ი ფ ი ლ ე ს ი რ ა კ უ ზ ე ლ ი

ა ნ ტ ი ფ ი ლ ე ს ი რ ა კ უ ზ ე ლ ი

მე რომ ღრომის თქრო მივეც, „კენტავრში“ არის,
ერთვული მონა კი წასულა ჩემს საძებნებულად.
ჩემი გუმანით და სასტუმროს პატრონის სიტყვით,
მე და ღრომის ბაზარში ვერ ვისაუბრებდით,
რაღანაც აღრე გავისტუმრე თვითონ ბაზრიდნ.
აი, ღრომიოც, ვაჟაბატონი აქეთვენ მოდის.

(შემოდის დ რ ო მ ი ო ს ი რ ა კ უ ზ ე ლ ი.)

აბა, ემაწვილო, შენ ხუმრობა ხომ ალარა გსურს?
ალიფურები გვერებია, მოდი, მეხურე.

არცა „კენტავრშე“, არც თქროზე არა გსმენია,
„უენიქსში“ ცცხოვრობ, ქალბატონი მელის სადილად,
გაგიძი განა, ტუტუცივით რომ მპასუხობდი?

დ რ ო მ ი ო ს ი რ ა კ უ ზ ე ლ ი

რას გპასუხობდით, ასეთი რამ როდის გითხარით?

ა ნ ტ ი ფ ი ლ ე ს ი რ ა კ უ ზ ე ლ ი

აი, აქ სწორედ, ამ ნახევარ საათის წინათ.

დ რ ო მ ი ო ს ი რ ა კ უ ზ ე ლ ი

არ მინახავართ თქვენ მას შემდეგ, ბატონ ჩემო,
თქროიანად მე „კენტავრში“ რომ გამაგზავნეთ.

ა ნ ტ ი ფ ი ლ ე ს ი რ ა კ უ ზ ე ლ ი

აკი უარყავ, არამზადავ, ოქროს მიღება,
მელაყბებოდი ვიდაც ცოლზე, რაღაც სადილზე,
ვგონებ იგრძენი, გუნებაზე რომ არ ვიყავი.

დ რ ო მ ი ო ს ი რ ა კ უ ზ ე ლ ი

მიხარის, გხედავთ, ხალისიან გუნებაზე ხართ,
მაგრამ რას ნიშნავს ეს ხუმრობა, ბატონ ჩემო?

ა ნ ტ ი ფ ი ლ ე ს ი რ ა კ უ ზ ე ლ ი

ისევ დამცინი, გაუთლელო, მოურიდებლად?
გვონია ვხუმრობ? აპა, ერთიც, აი მიიღე.

(გაარტყამს.)

დ რ ო მ ი ო ს ი რ ა კ უ ზ ე ლ ი

ბატონო ჩემო, ახლა მართლაც გულწრფელად ხუმრობ,
ოღონდ მითხარით, რის გულისთვის მთავაზობთ სილას?

ა ნ ტ ი ფ ი ლ ე ს ი რ ა კ უ ზ ე ლ ი

ოუკი მე ზოგჯერ თავს გიყადრებ, ხუმარად მყევხარ,
ნუთუ გვინია, შეგიძლია ჩემთან ხუმრობა,
როცა ხუმრობის გუნებაზე არა ვარ სულაც?

ქინქლები გარეთ ფარფატებენ მზე რომ ანათებს,
თუ მოიღოუნდა, ხვრელისაკენ ეშურებიან.
თვალი შემაცველი ამას იქთ გაზუმრებამდე
და შენი ჭილა ჩემს გუნებას მიუსადაგე,
თორუე რაც გითხარ, მაგ გოგრაში ძალით ჩაგიდებ.

დროშით სირაკუზე ელი

თქვენ ამას გოგრას ეძახით და ციხე-სიმაგრე გვინიათ
რადგან ქვემებს უშენო¹ ჩემი თავში რტყმევა თუ არ
შეწყვიტეთ, მე თავის ნაცვლად გოგრას დავიდგამ და
გავამაგრებ, თორუე ტვინი შერებჩე ჩამომენთხევა. ბატონი
ჩემო, ერთი ეს მიძრანეთ, რატომ მცემთ?

ა ნ ტ ი ფ თ ლ ე ს ი რ ა კ უ ზ ე ლ ი
ნუთუ არ იცი?

დროშით სირაკუზე ელი
მხოლოდ ის ვიცი, რომ ნაცემი ვარ.

ა ნ ტ ი ფ თ ლ ე ს ი რ ა კ უ ზ ე ლ ი
გითხრა, თუ რატომ?

დროშით სირაკუზე ელი

დიახ, ბატონო, რისთვის და რატომ, აკი აშხაბენ, რომ
ჟელაფერს მიზეზი აქვსო.

ა ნ ტ ი ფ თ ლ ე ს ი რ ა კ უ ზ ე ლ ი
შენ თავხელიბდი და ხუმრობა არ მოიშალე

დროშით სირაკუზე ელი

კაცის გალახვა წარამარა „თვის“ და „გამოსთვის“,
ნიშანი არის, დამერწმუნეთ, უთავბოლობის,
გმადლობთ, ბატონო.

ა ნ ტ ი ფ თ ლ ე ს ი რ ა კ უ ზ ე ლ ი
გმადლობთ? რისთვის?

დროშით სირაკუზე ელი

რაღაც რომ მომეცით არაფრისთვის.

ა ნ ტ ი ფ თ ლ ე ს ი რ ა კ უ ზ ე ლ ი

მე გამოგიბრი, არაფერს მოგცემ რაღაცისთვის, პო
მართლა, სადილობამ არ მოატანა?

დროშით სირაკუზე ელი

ბატონო, მე რომ მითავაზეთ, ხორცს ის სჭირდება.

ა ნ ტ ი ფ თ ლ ე ს ი რ ა კ უ ზ ე ლ ი

დღოზე მითხარი, ეს რას ნიშნავს?

დროშით სირაკუზე ელი

დაბეგვას.

ა ნ ტ ი ფ თ ლ ე ს ი რ ა კ უ ზ ე ლ ი

მაშინ მშრალი იქნება.

დროშით სირაკუზე ელი

მშრალი თუ იქნება, თქვენ არ მიირთმევთ.

ა ნ ტ ი ფ თ ლ ე ს ი რ ა კ უ ზ ე ლ ი

მიზეზი?

დროშით სირაკუზე ელი

თქვენს უიცებ ხასიათს უფრო გააფიცხებს და ისევ
მიმბეგვავთ.

ა ნ ტ ი ფ თ ლ ე ს ი რ ა კ უ ზ ე ლ ი

შენ კი უდროო დროს ხუმრობას გადაეწიო, ჟელაფერს
თავისი დრო აქვს.

დროშით სირაკუზე ელი

უარვყოფდი ამას, მაგრამ ისევ გაფიცხდებით.

ა ნ ტ ი ფ თ ლ ე ს ი რ ა კ უ ზ ე ლ ი

რითი უარვყოდი?

დროშით სირაკუზე ელი

ისეთი ნათელი მაგალითით, როგორიც არის დროის
მელოტი თავი.

ა ნ ტ ი ფ თ ლ ე ს ი რ ა კ უ ზ ე ლ ი

აბა, ერთი.

დროშით სირაკუზე ელი

ადამიანი, რომელიც ბუნებრივად მელოტდება, ვერა-
სოდეს თმას ვერ ამოიყვანს.

ა ნ ტ ი ფ თ ლ ე ს ი რ ა კ უ ზ ე ლ ი

რომ იმკურნალოს?

დროშით სირაკუზე ელი

ფულს თუ გადიხდის სხვისი თმის საყიდლად², მაგრამ
მაშინ სხვას გამელოტებს.

ა ნ ტ ი ფ თ ლ ე ს ი რ ა კ უ ზ ე ლ ი

რატომ არის დრო ასე ძუნწი თმის მიმართ, თმა ხორ
ჟელაბან უხვად მოიპოვება?

დროშით სირაკუზე ელი

იმიტომ, რომ ის თმებით ცხოველებს აჯილდოებს, ადა
მიანებს კი თმას აცვინს, მაგრამ ჭეუას მატებს.

ა ნ ტ ი ფ თ ლ ე ს ი რ ა კ უ ზ ე ლ ი

მაგრამ ბევრს რომ მეტი თმა აქვს, ვიდრე ჭეუა?

დრომით სირაკუზე ელი

მათ იმდენი ჭყაუ აქვთ, რომ თმა დასცვივდეთ.

ანტიფოლე სირაკუზე ელი

მაშ, შენი ფიქრით, ხშირთმიანები უჭირო გულუბრევილოები არიან?

დრომით სირაკუზე ელი

რაც უფრო თხელი თმა აქვთ, მით უფრო მაღვე მელოტებიან, მაგრამ გამელოტებას მათთვის სარგებლობა მოაქვს.

ანტიფოლე სირ. ელი

რა მიზეზით?

დრომით სირაკუზე ელი

ორი ნამდვილი მიზეზით.

ანტიფოლე სირაკუზე ელი

ნამდვილი მიზეზით არა, დამიჯვრე.

დრომით სირაკუზე ელი

მაშინ ჭუშმარიტი მიზეზებით.

ანტიფოლე სირაკუზე ელი

ჭუშმარიტება სადღაა, როცა იტყუები?

დრომით სირაკუზე ელი

მაშინ ზოგიერთი მიზეზით.

ანტიფოლე სირაკუზე ელი

დამისახელე.

დრომით სირაკუზე ელი

ერთი ის, რომ ფული არ დაეხარჯებათ თმის მოვლაში, მეორე ის, რომ თმა არ ჩაუვარდებათ საჭმელში.

ანტიფოლე სირაკუზე ელი

შენ ამით იმის თქმა გინდა, რომ ყველაფერს თავისი დრო არა აქვს?

დრომით სირაკუზე ელი

დიას, და დავატკიცე კიდეც. სახელდობრ, ვერასდროს ვეღარ გამოსთხოვ ბუნებას ჩამოცვენილ თმას.

ანტიფოლე სირაკუზე ელი

თქვი ბოლომდე, რატომ ვერ მოსთხოვ?

დრომით სირაკუზე ელი

იმიტომ, რომ დრო თვითონ მელოტია და სურს, რომ სამყაროს დასრულებამდე ყველა მელოტი იყოს.

ანტიფოლე სირაკუზე ელი

ეს რა მელოტი დასკვნა გამოიტანე?³ ჩუ, ჩვენ ვიღაც რაღაც განიშნებს. (შემოდან ედრიანა და ღუსიანა.)

ედრიანა

ოჳ, ანტიფოლე, სულ შეცვლილი, მოღუშული ხარ, სხვა ქალს მიაპყარ, საყვარელო, შენ მზერა ტკბილი. არა, მე არ ვარ ედრიანა შენი მეუღლე.

აკა ღდესლაც, ჩემონ კარგო, მეფიცებოლი, ჰანგივით ტკბილი მხაბლავენო შენი სიტყვები.

რომ არ ვენახა უკოთხი შენ არაფერი, არ შეხებიხარ შენ ჩემამდე უნახესს რასმე,

არ გიგემია უკეთესი გემოთი ხორცი, ვიდრე ჩემ მიერ მორთმეული, ჩემი დაჭრილი, მერე რა მოხდა, მეუღლეო, მერე რა მოხდა,

უცხო რომ გახდი საცუთარი თავისათვისაც?

ჰო, საკუთარი თავისთვისაც, რადგან ჩემთვისაც გაუცხოვდი, თუმც განუყოფლად ვართ ჩვენ შერწყმული.

საკუთიესო ხომ ვარ შენი მე ხახევრი, ხუ გამშორდები, გევედრები, გემუდარები,

რადგან, ძვირფასი, რომ ჩააგდო წყლის წვეთი ზღვაში, ისევე წმინდას, შეუცვლელსა მას ამოიღებ.

შენ თუ ჩავარდი, დამერწმუნე, მეც გამდოგვები.

რა გუნებაზე დადგებოდი, შენ რომ გაგეგო ამბავი ჩემი მრუშობისა და გარყვნილების?

რომ ეს სხეული შებლალულა ბინძური ვნებით?

შენ ჩემს ქმრიბაზე, უეჭველად, უარს იტყოდი, ტყავს გაძრობდი დაუნდობლად ჩემს მემავ სხეულს,

ბინძურ თითიდან შენ მე ბეჭედს წამომაძრობდი, გატეხდა მას და სამუდამოდ გამეყრებოდა.

ვიცა, რომ ამას ჩაიღნდი, მაშ, ახლა ჰქენ!

მე დალატით ვარ, ჩემონ კარგო, ჩირქმოცხებული, სისხლს შეერია ანტიფოლე, სიმრუშის სენი,

რადგან ჩვენ რონი ჭეშმარიტად თუკი ვართ ერთი, შენი მოწმებით, რა თქმა უნდა, მეც ვიწამლება.

მაშ, გაუფრთხილდი, საყვარელო, შენ შენს სარეცელი და ორივენი დამერწმუნე, წმინდა ვიქებით.

ანტიფოლე სირაკუზე ელი

თქვენ მე მომმართავთ, მშვენიერო, ტურფა ასულო? ორი საათას წინ ჩამოველ მე ეფესოში.

უცხოა ჩემთვის ეს ქალაქიც, თქვენი სიტყვებიც, სმენადეცეული, ქალბატონო, თუმცა გასმენდით,

ვერაფერს მივხვდი, დამიჯვრეთ, თავს გეფიცებით.

ღუსიანა

ეჳ, მმაო, მმაო, ასე როგორ გამოიცვალეთ!

არ შახსოვს, ჩემს დას აგრერიგად თქვენ მოპყრობოდით აკა დრომით გამოვგზავნეთ, სადილად ეხმეთ.

ანტიფოლე სირაკუზე ელი

დრომით?

დროშით სირაკუზ ე ლ ი
მე?

ე დ რ ი ა ნ ა

შენ რომ დაბრუნდი, ვაჟბატონო, აკი გვითხარი,
ბატონმა მცემა, უარყოთ ცოლიც და სახლიც?

ა ნ ტ ი ფ თ ლ ე ს ი რ ა კ უ ზ ე ლ ი

შენ, ვაჟბატონო, შეუთან ა მაშ, მდ ქალბატონს?
თქვენს შეთქმულებას, ე - მითხარი, რა აქც მიზანი?

დროშით სირაკუზ ე ლ ი

ბატონო ჩემო, ამ ქალბატონს პირველად ვხედავ.

ა ნ ტ ი ფ თ ლ ე ს ი რ ა კ უ ზ ე ლ ი

ტყუი, შე ფლიდო, განა ბაზარში არ მითხარი,
ამ ქალბატონის სიტყვასიტყვით ახლა ნათქვამი?

დროშით სირაკუზ ე ლ ი

მე ამ ქალბატონს, დიდებულო, არ შევხედრივარ.

ა ნ ტ ი ფ თ ლ ე ს ი რ ა კ უ ზ ე ლ ი

შეშ, სახელები შთაგონებით გაიგო ჩვენი?

ე დ რ ი ა ნ ა

ღარსებას შენისას არ შეშვენის, რომ წააქეზო,
ეს შენი მონა აგრძერიგად მესიტყვებოდეს.
რომ მიმატოვე, მე ისედაც შეურაცხმავი.
რა საჭიროა, რომ შემასვა კვლავ საწამლავი?
მიდი, მაგ მკლავზე, ანტიფოლე, მოგვეჭიდები,
ვით ვაზი თელას, შენ ძალ-დონეს ვეზიარები.
ჩემი და შენი განშორება სურთ ნაძირალებს,
სურთს უტიფარს, რა თემა უნდა, ხავსურას, ეკლებს,
ექნი ყველა, ჩემი კარგო, შენ გვეხვევიან,
და შენი სისხლით, დამერწმუნე, იკვებებიან.

ა ნ ტ ი ფ თ ლ ე ს ი რ ა კ უ ზ ე ლ ი

მე მეუბნება, მე მომმართავს, მესაუბრება,
ნეტა სიზმარში ეს ასული ზომ არ შევიტოე?
იქება მძინავს და ყველი ეს მეჩვენება?
ვიღრე ამ მუდამს, ბატონებო, მე ამოვიცნობ,
მათ შეცდომით, დამერწმუნეთ, თავსაც გავირთობ.

ლ უ ს ი ა ნ ა

დრომით, უთხარ შენ მსახურებს, გაშალონ სუურა.

დროშით სირაკუზ ე ლ ი

ნეტავი მომცენ ახლა ჩემი კრიალოსანი,
რომ ცოლვით სავსემ გადვიწერ უმაღ პირჯვარი.
ეს გრძნეულების ქვეყანაა, სადა ვართ, რა ვართ?
ჯადოებს, ბუებს და ავ სულებს ბჭობას ვუმართავთ.

თუ გავჯიუტდით, არ დავევით ჩვენ ამათ ნებას,
ვერ გადვურჩებით ალბათ ზურგის ჩვენ აჭრელებას.

ლ უ ს ი ა ნ ა

რასა ბუტბუტებ, შე ზარმაცო, ლოთო, უქნარა?

დროშით სირაკუზ ე ლ ი

გარდავიქმენი მე, ბატონო, რას იტყვით, არა?

ა ნ ტ ი ფ თ ლ ე ს ი რ ა კ უ ზ ე ლ ი

სულით, დრომით, შენ ჩემსავით გარდაქმნილი ხარ.

დროშით სირაკუზ ე ლ ი

მე სხეულითაც და სულითაც გარდაქმნილი ვარ.

ა ნ ტ ი ფ თ ლ ე ს ი რ ა კ უ ზ ე ლ ი

შენ სხეულით შეუცვლელი ხარ.

დროშით სირაკუზ ე ლ ი

არა, ბატონო, მამუნი ვარ.

ლ უ ს ი ა ნ ა

არა, შენ ვირად ხარ გარდაქმნილი.

დროშით სირაკუზ ე ლ ი

მართალსა ბრძანებთ, სხვანაირად არ შეიძლება,

მაგრამ თუ მიცნო ქალბატონმა, მე რატომ ვერ ვცნობ?

ე დ რ ი ა ნ ა

ქმარა, მეყოფა ღვრა ცრემლების, ოხვრა, ვიშვაში,
ოვალების სრესა და გართობა ქმრის და მსახურთა,
სადილად დავსხედეთ, შენ, დრომით, კარს უდარაჯე,
შენ ანტიულე ჩემთან ერთად დღეს ისადილე.

და ინები სათითად ჩამომითვალე.

წავიდეთ, დაო, მაშ, დრომით, ფხიზლად იყავი

და თუკი ვინებმ მოიკითა შენი ბატონი,

უთხარი, სტუმრად წავიდა-თქო სადღაც სადილზე.

ა ნ ტ ი ფ თ ლ ე ს ი რ ა კ უ ზ ე ლ ი

ჯოჯოხეთში ვარ, ზეცაში თუ დედამიწაზე?

მძინავს თუ მღვიძავს, გიე ვარ თუ ჭკუათყოფელი?

არავის ვიცნობ ამ ქალაქში, მე ყველა მაცნობს,

ნუთუ არ არის ეს ამბავი გასაკვირველი?

ავყვები მე მა და არავერს აღარ ვინაღვლებ,
მეც ამ ბურუსში მათთან ერთად ვიწეტიალებ.

დროშით სირაკუზ ე ლ ი

კარს ვუდარაჯო? ასეთია თქვენი ბრძანება?

ა ნ ტ ი ფ თ ლ ე ს ი რ ა კ უ ზ ე ლ ი

ფხიზლად იყავი, თორებ გოგრა გაგისივდება.

ლ უ ს ი ა ნ ა

წავიდეთ, თორებ ჩვენ სადილი გაგვიცივდება.

(გადის.)

მომავალია მასამა

ს ურათი პირველი

ანტიფოლე ეჯასელის სახლის წინ.

შემოღიან ა ნტიფოლე ეფეს ს ელი, დრომით ეფეს ს ელი, ა ნჯელო და ბალთაზარი.

ა ნტიფოლე ეფეს ელი

ჩემო ანჯელო, გვევდრები, უნდა მიშველო, რომ ვავიანებ, ცოლი ანხსლობს, მებუზღუნება. უთხარით, ჩემთან დაყოვნდა-თქო, სახელოსნოში, უცქერდა, როგორ გიმზადებდი მე ყველასაბამს-თქო.

(დრომითხე ანიშნებს.)

მაგრამ აი, ეს არამზადა, ტყუის და ცრუობს, ვითომ ბაზარში შეკვედროდე და გამელახოს. ათასი მარკა მე იქროთი მიმეცეს ვითომ, მეთქვას, რომ არ მყავს მე არც ცოლი, არცა მაქვს სახლი. მითხარი, ლოთო, რა გინდოდა შენ მაგ ლაყბობით?

დრომით ეფეს ელი

ბრძანეთ, ბატონო, რაცა გსურდეთ, რაც ვიცი, ვიცი, თქვენ მე გამართეთ, არ მჭირდება ამაზე ფიცი. მე რომ მქონდა პერგამენტი ტანს გადაკრული, თქვენ კი, ბატონო, მელანი რამ ზელზე წასმული, ვვონებ, აშკარა იქნებოდ ჩემ მიერ თქმული.

ა ნტიფოლე ეფეს ელი

ვფიქრობ, დრომით, რომ შენა ხარ დიდურა ვირი.

დრომით ეფეს ელი

შესაძლო არის, ვითენ ცემას, უსამართლობას. მე რომ, ბატონო, ამ დარტყმებზე ვყარო ტლინკები, შეგაშინებდნენ უეჭველად მაშინ ვირები.

ა ნტიფოლე ეფეს ელი

რაღაც ვერა ხართ გუნებაზე, ბალთაზარ ჩემო, ღვთის მაღლით, მინდა გიმსაბინბლოთ, გაგანალისოთ.

ბალთაზარი

უხვ მასპინბლობას გულითადი სჯობს მასპინბლობა.

ა ნტიფოლე ეფეს ელი

როდესაც სუფრას პურ-მარილი კარგი აკლია, გულითადობა ცარიელი ვის რად არგია?

ბალთაზარი

ბატონო ჩემო, მუნწსაც კი აქვს საჭმელ-სასმელი.

ა ნტიფოლე ეფეს ელი

გულითადობა ადვილია ენით სათქმელი.

ბალთაზარი

ღარიბა სუფრა ლხინის იყოს იქნებ სადარი, თუ ჭეშმარიტად გულითადი მიღება არი.

ა ნტიფოლე ეფეს ელი

თუკი ძუნწია მასპინბელიც, მისი სტუმარიც. მე მხოლოდ ეკთილ გულს გთავაზობო, ბატონო ჩემო, უკეთეს ლხინის მე რა გითხრათ, რა მოგახსნოთ; გულითადობა უკეთესი თქვენ ვერსად ნახოთ. ოჰ, ეს კარი დაკუტილია. (დრომით.) უთხარ, გაგვიღო.

დრომით ეფეს ელი

მოდ, ბრიჯიტ, მერიან, სისილი, ჯილიან, ვინ!

დრომით სირაკუზელი (შიგნიდან)

ბოთე, სულელო, ბატის ჭუკო, მასხარავ, ჩაჩო, ემანდ ეგდები, ხეზე ვირი გავა მანამდე, ამ გომბითობან ერთიც კმარა ტვინის წამლებად, მოუსვი ახლა, გეუბნები, წადი მანდედან.

დრომით ეფეს ელი

ბრიყვო, ბატონი, გეუბნები, იცდის ქუჩაში.

დრომით სირაკუზელი (შიგნიდან)

ფეხბი რომ არ გაუცივდეს, წავიდეს სახლში.

ა ნტიფოლე ეფეს ელი

მანდ ვინა ლაყბობს, ეი, ჩქარა გააღეთ კარი.

დრომით სირაკუზელი (შიგნიდან)

ბოლიში, მაგრამ უნდა გითხრათ ახლა უარი.

ა ნტიფოლე ეფეს ელი

გააღე, ბრიყვო, იცი, ღღეს არ მისადილია.

დრომით სირაკუზელი (შიგნიდან)

ღღეს ვერ მოგართმევო, ხვალ მობრძანდით, თუ შეგიძლიათ.

ა ნტიფოლე ეფეს ელი

ვინა ხარ, კაცო, რომ არ მიშვებ საკუთარ სახლში?

დრომით სირაკუზელი (შიგნიდან)

დრომით მქვაა, დარაჯი ვარ, იყავ ქუჩაში.

დრომით ეფეს ელი

მოგიპარია ადგილი და ჩემი სახელი,

თუმც არაფერი მიგიღია მით სარგებელი, რომ ყოფილიყავ შენ დრომით ცოტა წინათ, სახით, სახელით, იქცეოდი უთუოდ ვირად.

ღუსი (შიგნიდან)

რა ხმაურია, ვინ შეგროვდა, დრომით, კართან?

დრომით ეფეს ელი

ღუსი, შეუშვით თავის სახლში ჩემი ბატონი.

ღუსი (შიგნიდან)

კვიან მოვიდა, ჩემო კარგო, შენი ბატონი.

დრომით ეფეს ელი

მიყურეთ მაშინ, როს ხელკეტი დავატრიალო.

ღუსი (შიგნიდან)

მოგხვდება თვითონ იმ ხელკეტის მეორე ბოლო.

დრომით სირაკუზ ელი (შიგნიდან)

შენა ხარ, ღუსი? მაგ პასუხით მოუდე ბოლო.

ანტიფოლე ეფეს ელი

ჟმის, ძვირფასო, იმედია რომ შენ შემიშვებ.

ღუსი (შიგნიდან)

უარა ვცდები, მგონი ერთხელ თქვენ უკვე მოხოვეთ.

დრომით სირაკუზ ელი (შიგნიდან)

უარა ვცდები, საკადრისი პასუხიც მოგცეს.

დრომით ეფეს ელი

სეჭვას ქვა დაწვდა, ამაჩეა აი, ნათქვაში.

ანტიფოლე ეფეს ელი

კარ გამიღე, გეუბნები, შე არამხადა.

ღუსი (შიგნიდან)

ვინა ბრძანდები, შეიძლება გვითხრათ სახელი?

დრომით ეფეს ელი

ატონო ჩემო, გამეტებით დასცხეთ კარს ხელი.

ღუსი (შიგნიდან)

ურტყით, სანამდე, ბატონებო, არ ეტკინება.

ანტიფოლე ეფეს ელი

კარ ჩამოვიღებ და თვალები აგიცრემლდება.

ღუსი (შიგნიდან)

ჯ ჩვენს ქალაქში ბორკილები მოიძებება.

დრიანა

ჯ არის კართან, აგრერიგად რომ იჭაჭება?

დრომით სირაკუზ ელი (შიგნიდან)

შენლი ბიჭები, ქალაბზონო, სხვა ვინ იქნება?

ანტიფოლე ეფეს ელი

ჩემო მეუღლევ, იქნებ ადრე მოვსულიფავი.

ელოანა

შე ცრუპენტელა, სჯობს მანდედან წასულიფავი.

დრომით ეფეს ელი

ძვიროდ დაუსვით თქვენ, ბატონო, მას ეს ქადილი.

ანტელი

არც გულითადი მიღება გვაქვს და არც სადილი.

ბალთაზარი

ხედავთ, არ შეგვგდნენ არც გულით და არც პურ-მარილით.

დრომით ეფეს ელი

ბატონო ჩემო, ნუ აყოვნებთ, ხართ მასპინძელი.

ანტიფოლე ეფეს ელი

კარის გაღებას, არამზადა, ხომ ხედავ ველი!

დრომით ეფეს ელი

კიღვე კარგი, რომ ტანსაცმელი გაცვიათ თბილი, სიცივეში ვართ, შენ კი ცხვება ნამცხვარი ტკბილი, რომ ყოფილიყო კაცი ასე გაცურებული, ხარისუმივით იქნებოდა გააფორებული.

ანტიფოლე ეფეს ელი

წალი, რაიმე მოიტანე, კარებს დავამტვრევ.

დრომით სირაკუზ ელი (შიგნიდან)

გაბედე ერთი, არამზადა, ცხვირპირს ჩაგამტვრევ.

დრომით ეფეს ელი

შენ ენიო ჩხუბობ, თუ შემოველ, გასწავლი ჰქონას.

დრომით სირაკუზ ელი (შიგნიდან)

მომწყდი თვალიან, თუ გამოველ, გაგაპობ შუა.

დრომით ეფეს ელი

რატომ არ მიშვებ, არამზადა, ამდენს რომ ვყვირი?

დრომით სირაკუზ ელი (შიგნიდან)

შეგიშვებ, ხეზე როცა ავა დიდყურა ვირი.

ანტიფოლე ეფეს ელი (დრომითს)

იშოვე საღმე ძალაყინი, კარს ჩამოვიღებ.

დრომით ეფეს ელი

ძალაყინიო, გაიგონე, შე საღახანა?

დაგიზელო გვერდებს, ვიღრე ვირი ხეებზე ვავა.

ანტიფოლე ეფეს ელი

დრომით, წადი, მომიტანე მე ძალაყინი.

ბ ა ლ თ ა ზ ა რ ი

ბატონი ჩემო, მოითმინეთ, ნუ იზამთ ამას,
ნუ უმხედრდებით თქვენ საკუთარ ღირსებას, სახელს,
ეჭვანობით ნუ შებლალავთ ფაქიზ მეუღლეს.
მისი სიქველე, მოკრძალება, სიდარბაისლე,
ხანგრძლივი წლები, თქვენთან ერთად გატარებული,
თავმდება არის, რომ უცნობი თქვენთვის მიზეზით
დღეს დღისით, მზისით ის გიჟუტავთ თქვენ სახლის
კარებს.

მერწმუნეთ, იგი თვით აგისხნით თავის საქციელს.
ახლა კი, მოდით, ვისადილოთ ჩვენ სხვაგან სადმე.
მაგრამ თუ ახლა დღისით, მზისით შეამტკრევთ კარებს,
იცოდეთ, ვინმე უქაშელად თქვენ ცილს დაგწამებთ.
და დამტრწმუნეთ, სამუდამოდ შეგირცხვენთ სახელს.
საფლავის ქვაზე, დამიჯერეთ, ჩამოგიჯდებათ,
საქიოშიც თან წაყვებათ, არ მოგცილდებათ,
რადგანაც ცილი გადეცემა შთამომავლობას
და თუკი სადმე დამიკიდრა და დაიბუდა,
ვერ აუკრავენ ვერახოდეს ნაბადს და გუდას.

ა ნ ტ ი ფ თ ლ ე ე ფ ე ს ე ლ ი

მე მჯერა თქვენი, ბატონებო, წავალ მშვიდობით,
სამაგიეროდ მივეცემი მზიარულებას.
მე აქ ერთ დამაზს, სანდომანს ვიცნობ გოგონას,
ჭკვანს, კოპტიას, თამამსა და გულმარიხიანს,
რომლის მიმართაც არაერთხელ, თუმც უსაფუძვლოდ,
მეუღლეს ჩემსას, ედრიანას, ეჭვი აღმრია.

მასთან წავიდეთ ჩენ ყველანი, იქ ვისადილოთ.
(ანჯელოს.)

თქვენ კი შინ წადით, მომიტანეთ ის ყელსაბამი,
გემუდარებით, მომიტანეთ იმ ქალის სახლში,
იმას ვაჩუქებ მე ყელსაბამს მეუღლის ჯიბრზე.
აბა, იჩქარეთ.

რადგან დამიხშეს საკუთარი სახლის კარები,
სხვას მიგაითხავ, იქნებ იმას არ ვეჯვრები.

ა ნ ჯ ე ლ ო

მეც იქ გავჩნდები, დიდებულო, სულ ერთ საათში.

ა ნ ტ ი ფ თ ლ ე ე ფ ე ს ე ლ ი

ეტყობა, ძვირად დამიჯდება მე ეს თამაში.

(ვადის.)

ს უ რ ა თ ი მ ე რ ი ე

იქვე.

შემოდიან ღუსიანა და ა ნ ტ ი ფ თ ლ ე ს ი რ ა კ უ ზ ე ლ ი.

ღ უ ს ი ა ნ ა

ოქ, ანტიფოლე, დაივიწყეთ თქვენ განა ქმრობა?
მითხარით ნუთუ კლორტს უნორჩესს წრუელი გულისას

წილად ხვდომია ნააღრევად ძირშივე ხმიბა,
ხოლო დანგრევა ტაძარს თქვენი სიყვარულისას?
თუ თქვენ შეირთეთ ედრიანა სიმდიდრისათვის,
სამაგიეროდ მიუძღვენით კეთილი გული,
ხოლო თუ ახლა, ანტიფოლე, იწვით სხვისათვის,
დე, თქვენი ლტოლვა, მმაო ჩემო, იყოს ფარული.
ამოიკითხის თქვენს თვალებში რომ ხართ ერთგული
და ნუ იქნება ენა თქვენი სიბილწის მთქმელი,
უთხარით, რომ ხართ, მმაო, მისთვის თავადადებული,
ცოდვისთვის გერნდეთ სათხოების თქვენ სამოსელი.
ორგულმა თავი მოაჩვენეთ რომ ხართ ერთგული,
ასწავლეთ ცოდვას წმინდანივით ეჭიროს თავი,
დე, ედრიანა იყოს თქვენგან მოტყუებული,
ორმაგი არის ბოროტება — ცოლის აგდება
და მისთვის ამის მინიშნება მაღიმალ თვალით,
ცოდვასაც ძალუბს აკი ზოგჯერ ხომ განდიდება,
ავი საქმენი მძიმდებარი სიტყვებით ავით.
სიტყვით გვითხარით, რომ გიყვარვართ ჩვენ საბრალონი,
შეევარებული აკი ჩვენ ვართ ალალმართლები,
ხელს თუ სხვას მისცემთ, დაგვიტოვეთ ჩვენ სახელონი,
სამარადისოდ ხომ გართ თქვენი თანამგზავრები.
მაშ ასე, მმაო, გოხოვ, ახლავე სახლს მიაშურო
და დამიწყნარ ედრიანა, ჩემი დაიკო,
უწოდო ცოლი, მისი გული მოინადირო,
რომ შენ ალერსით, პირფერულით, შვება მოიმკო.

ა ნ ტ ი ფ თ ლ ე ს ი რ ა კ უ ზ ე ლ ი

როგორ მოგმართოთ, მე არ ვიცი, ტურფა ასულო,
მე არც ის ვიცი ვით გაიგეთ ჩემი სახელი,
ბრძენო, საღუქო, საოცრებავ, თვით სასწაულო,
ხართ მიწიერზე ღვთავბრივი, ზეცის ნათელი.
მასწავლეთ ტურფავ, აზროვნება და ლაპარაკი,
მე სუსტის, უნიჭის, შეცდომების ქსელში გახვეულ,
გამომიტებულებით ნართაული თქვენი არაკა,
ორაზროვანი მეტყველებით თქვენგან დაბნეულს.
რისოვისა ცდილობი, მიამიტა გულმართლივით
უცნობ და უცხი სამყაროში ვიხეტიალო?
თუკი გარდაქმნას ლამბობ ჩემსას თქვენ დმდრითქალივო,
მაშ, ვარდამქმნით, სხვად მაქციეთ, მე სატიალო.
მაგრამ რადგანაც ვარ მე ისევ ჯერ შეუცელებლი,
არც ერთგულება მე ცოლ-ქმრული ფიცით მდევს ვალად
მერწმუნეთ, არ ვარ მე თქვენი ღის გულის მშერობელი,
მე თქვენებ ვილტვა, მშვენიერო, თქვენებ ჩემ თავად
ო, სირინოზო, გეხვეწება შენი ვალობით
მე ნუ დამახრიო ედრიანას ცრემლების ლვრაში,
იძღვრე, შენთვის, ზღვის ასულო, ვიწვი მე ტრიფობო,
ოქროს დალალი დააფინე ვერცხლის ტალღებზე,
ზედ მე დაგწვება, მშვენიერო, ვით სარეცელზე
და ამ მომხაბლავ ნეტარებით აღტაცებული
და, დავიზრით, მე ვიქნები გამარჯვებული,
თუკი სიყვარულს ძალუბს იყოს ზღვაში შთანთქმული.

ღ უ ს ი ა ნ ა

ამას რას ამბობთ, უბედურო, ჭირის გადასცდით?
ა ნტ ი ფ თ ღ ე ს ი რ ა კ უ ზ ე ღ ლ ი
რატომ, არ ვიცი, მშვენიერო, მაგრამ დავბრმავდი.

ღ უ ს ი ა ნ ა

ბიწიერებამ, დამერწმუნეთ, დაგივსოთ თვალი.

ა ნტ ი ფ თ ღ ე ს ი რ ა კ უ ზ ე ღ ლ ი
მაგ თვალთა შუქის, ჩემი მზეო, ეს არის ბრალი.

ღ უ ს ი ა ნ ა

თქვენს ცოლს უცქირეთ და სინათლე დაგიბრუნდებათ.
ა ნტ ი ფ თ ღ ე ს ი რ ა კ უ ზ ე ღ ლ ი
სიბნელის მზერით თვალთ ნათელი არ ჩამიდგება.

ღ უ ს ი ა ნ ა

მე რად მიწოდებთ თქვენს საყვარელს, ჩემს დას უწოდეთ.

ა ნტ ი ფ თ ღ ე ს ი რ ა კ უ ზ ე ღ ლ ი

თქვენი დის დასა.

ღ უ ს ი ა ნ ა

არა, ჩემს დას.

ა ნტ ი ფ თ ღ ე ს ი რ ა კ უ ზ ე ღ ლ ი

არა და არა.

ჩემი არსების უკეთესი თქვენ ხართ ნაწილი,
ჩემი სიმდიდრე, სიუხვე და იმედი ტქბილი,
ნათელი ჩინი ჩემი თვალის, ამ გულის გული,
მქევენიური სამოთხე და ჩემი რჩეული.

ღ უ ს ი ა ნ ა

ეს ჩემი დაა, საყვარელი ჩემი დაიკო.

ა ნტ ი ფ თ ღ ე ს ი რ ა კ უ ზ ე ღ ლ ი

თქვით, რომ თქვენა ხართ ის თქვენი და, ჩემი რჩეული,
გულს გული მივცეო, ვარ მე თქვენით დამონებული.
თქვენ ქალწული ხართ, ჩემი მზეო, მე კი უული,
ჰიმცით ხელი...

ღ უ ს ი ა ნ ა

კრგი, ბატონო, ჯერჯერობით ცოტა იყეჩეთ,
მოყიფვან ჩემს დას და თქვენ ერთად მოითაბირეთ.

(გადის. შემოდის დრო მიო ს ი რ ა კ უ ზ ე ღ ლ ი.)

ა ნტ ი ფ თ ღ ე ს ი რ ა კ უ ზ ე ღ ლ ი

ემ, დრომით, ასე ჩქარა საით გარბიხარ?

დ რ ო მ ი ო ს ი რ ა კ უ ზ ე ღ ლ ი

მიცნობთ, ბატონო? დრომით ვარ, თქვენი მსახური? მე ვარ მე?

ა ნტ ი ფ თ ღ ე ს ი რ ა კ უ ზ ე ღ ლ ი

შენ დრომით ხარ ჩემი მსახური, შენა ხარ შენ.

დ რ ო მ ი ო ს ი რ ა კ უ ზ ე ღ ლ ი

ვირი გახლავართ და მეუღლე ვიღაცა ქალის, მე-მე არა ვარ.

ა ნტ ი ფ თ ღ ე ს ი რ ა კ უ ზ ე ღ ლ ი

ვინ ქალის ქმარი? შენ თუ არ ხარ, მაშ, ვინა ხარ?

დ რ ო მ ი ო ს ი რ ა კ უ ზ ე ღ ლ ი

საკუთრება, ბატონო, ვიღაც დედაკაცის, რომელიც დამდევს, არ მასვენებს, ჩემს თავს მოითხოვს.

ა ნტ ი ფ თ ღ ე ს ი რ ა კ უ ზ ე ღ ლ ი

რა უფლებას აცხადებს შენჩე?

დ რ ო მ ი ო ს ი რ ა კ უ ზ ე ღ ლ ი

წარმოიდგინეთ, აი ისეთს, როგორც თქვენ აცხადებთ თქვენს უფლებას ცხენჩე. მას უნდა, მე ისე მფლობდეს, როგორც პირუტყვეს, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ მე პირუტყვი ვარ, არამედ იმიტომ, რომ თვითიონა ჰვაკს პირუტყვეს.

ა ნტ ი ფ თ ღ ე ს ი რ ა კ უ ზ ე ღ ლ ი

ვინ არის?

დ რ ო მ ი ო ს ი რ ა კ უ ზ ე ღ ლ ი

ერთი ისეთი უზარმაზარი გვამი, რომ უეჭველად პატივაცემით უნდა მოიხსენიო. მე გამხდარი ვარ და იმ სიმსუქნეში ჩავიხრჩობი.

ა ნტ ი ფ თ ღ ე ს ი რ ა კ უ ზ ე ღ ლ ი

სიმსუქნეში ჩაიხრჩობი? ამით რისი თქმა გინდა?

დ რ ო მ ი ო ს ი რ ა კ უ ზ ე ღ ლ ი

რისი და, ბატონო ჩემო, სამზარეულოს გომბითა, სულ-მოლად ქონით ვაზინთული. გვარის ვარდა სხვისათვის ვერაფრისთვის გამოიყენებ და მისსავე სინათლეზე შეიძლება გავიქცე. იძღენი ქონია განვეული მის ძონბებში, რომ პილონების ხანგრძლივ ზამთარშიც კი სამყოფი იქნება საწვავად. თუ საშინელ სამსჯავრომდე იცოცხა, მის დაწვას ერთი კვირით მეტი დასჭირდება, ვიღრე სხვებისას.

ა ნტ ი ფ თ ღ ე ს ი რ ა კ უ ზ ე ღ ლ ი

პირისახე როგორი აქვს?

დრომით სირაკუზე ელი

ჩემი ფეხსაცმელივით შავი, ოღონდ უფრო ჭუჭყანი. იძლენი ოფლ ჩამოსდის, რომ იმ წუმბეში რომ გაიარო, ფეხსაცმელ დაგილტბა.

ა ნტი იფოლე სირაკუზე ელი
ეს საკლი წყლით ჩამოერცება.

დრომით სირაკუზე ელი

არა, ბატონი, თანდაყოლილია, ნოეს წარლენაც კი ერ გარეცავს.

ა ნტი იფოლე სირაკუზე ელი
რა ჰქვია?

დრომით სირაკუზე ელი

ნელი, ბატონი, და მასში, როგორც კასრში, შეიძლება ჩავასხათ სასმელი ელი, სამი ჩარექი ვერ შეაესებს თე-ძოდან თეძომდე.

ა ნტი იფოლე სირაკუზე ელი

ასე მსუქანია?

დრომით სირაკუზე ელი

თავიდან ფეხისგულებამდე და თეძოდან თეძომდე სულ ერთიანია, მრგვალია, როგორც გლობუსი, ზედ ქვევნებიც კი მოვძებნე.

ა ნტი იფოლე სირაკუზე ელი

სხეულის რომელ ნაწილზეა ირლანდია?

დრომით სირაკუზე ელი

დუნდულებზე, ჭუჭყით ვიცანი.

ა ნტი იფოლე სირაკუზე ელი

შოტლანდია?

დრომით სირაკუზე ელი

ხელის გულზე, მოტივტივებული და ხორკლიანი ად-გილით ვიცანი.

ა ნტი იფოლე სირაკუზე ელი

საფრანგეთი?

დრომით სირაკუზე ელი

შუბლზე, იარაღასხმული და ამბოხებულია საკუთარი ქოჩის წინააღმდეგ¹.

ა ნტი იფოლე ე ფესე ე ლი
ინგლისი?

დრომით სირაკუზე ელი

ცარცოვანი კლდეები ვეძებე, მაგრამ თეთრი ვერაფერი ვნახე. ვგონებ, ნიკაზე უნდა იყოს, რაღან მასსა და საფ-რანგეთის შუა მარილიანი სისველე არის!

ა ნტი იფოლე სირაკუზე ელი

ესპანეთი?

დრომით სირაკუზე ელი

ღმერთმანი, არ ვიცი, მაგრამ ვნებიანი სუნთქვით ვიგრ-ძენი.

ა ნტი იფოლე სირაკუზე ელი

ამერიკა? ორივე ინდოეთი?

დრომით სირაკუზე ელი

ცხვირზე, ბატონი ჩემო, რომელიც მორთულ-მოკაზმუ-ლია, ლალ-ბადაბაშით, ძარმაგარებით და საფირონით. მთელი ეს სიძლიდრე ცხელ ესპანეთს დაჭყურებს, რომელ-საც ხომალდების არმადა გამოუგზავნია, რომ მის ცხვირ-წინ დატვირთოს.

ა ნტი იფოლე სირაკუზე ელი

ბელგია, ნიდერლანდი?

დრომით სირაკუზე ელი

ბატონი ჩემო, ასე დაბდა არ მიძებნია. ამ ბინურმა, ამ ჯადოქარმა თავისი უფლებები გამომიცხადა. მექანდა დრომიოს, ფიცულობდა, რომ დანიშნულები ვაროო, ამიწუ-რა ჩემი ნიშნები — ლაქა ბეჭება, ხალი კასერზე, დიდი მე-ჭეპი მარცხნა ხელზე, მე იმ ჯადოქარს შეშინებული გამოვექეცი და ვფიქრობ, რომ ძლიერი რწმენა და ფო-ლადივით მტკიცე გული არა მქონიდა, ფინია ძალლად გა-დასაქცევდა და თავის დატუდზე მაცეკვებდა.

ა ნტი იფოლე სირაკუზე ელი

გზაზე გადი და ნაპირიდან თუკი ქრის ქარი, ამათ ქალაქში მე ამაღამ აღარ დაერჩები, შემატყობინე, თუ მიცურავს რამე ხომალდი, ბაზარში მოდი, იქ ვიშნები, დაგელოდები.

ჩენ უველა გვაცნობს, ჩემო კარგო, ჩენ კი არავის, და ამიტომაც, ვფიქრობ, დროა ჩენის აპარგვის.

დრომით სირაკუზე ელი

უნდა გავექცე იმ დედაკაცს როგორც დათვს ზორბას, რომელიც ლამობს დაუნებით ჩემსა ცოლობას.

(გადის.)

ა ნტი იფოლე სირაკუზე ელი

აქ თურმე მართლაც ბინადრობენ კუდიანები, კარგა ხანია მე ამ ქალაქს უნდა ვაცლოდი, მე ის არ მომწონს, ვინც ცოლობას ჩემსას ჩემულობს, იმისი და კი მშვენიერი, ნაზი, ტანადი, ისეთი არის მომზიბლავი, ტებილმოუბარი, კინადამ თავის მოღალატედ გადავიქეცი.

ყურს არ დაუკვდებ სირიოზის ნარნარ გალობას, თავს არ გავუწევ მე საკუთარს აესა კაცობას.

(შემოდის ა ნ ჯ ე ლ ი.)

ა ნ ჯ ე ლ ო

ანტიფოლე, ბატონო ჩემო.

ა ნ ტ ი ფ ი ლ ო ს ი რ ა კ უ ზ ე ლ ო

დიახ, მე ანტიფოლე ვარ.

ა ნ ჯ ე ლ ო

გიცი, ბატონო, სასტუმროში უნდა მოშეცა
ეს ყელსაბამი, დასრულება ვერ მოვასწარი
და ამიტომაც კარგა ხანა შემაგვანდა.

ა ნ ტ ი ფ ი ლ ო ს ი რ ა კ უ ზ ე ლ ო

ბატონო ჩემო, რას მიბრძანებთ, ამ ძეწკვს რა ვუყო?

ა ნ ჯ ე ლ ო

რაც კი გენებით, ძეწკვი თქვენთვის მე გავაკეთე.

ა ნ ტ ი ფ ი ლ ო ს ი რ ა კ უ ზ ე ლ ო

ჩემთვის, ბატონო? ეს მიბრძანეთ, მე გთხოვეთ განა?

ა ნ ჯ ე ლ ო

ერთხელ და ორჯერ? რატომ ოცჯერ არ გითხოვიათ,

აპა, აიღეთ, გაახარეთ თქვენი მეუღლე,
მე შემოგივლით ვახშმობისას მოგვაინებით
და საფასურსაც ამ ძეწკვისას მაშინ ავიღებ.

ა ნ ტ ი ფ ი ლ ო ს ი რ ა კ უ ზ ე ლ ო

გემუდარებით გასამრჯველო ახლა აიღეთ,
თორემ ვაი თუ დაგეკარგოთ ერთიც, მეორეც.

ა ნ ჯ ე ლ ო

რა ხუმარა ხართ, მეგობარო, კარგად მეყოლეოთ.

(გადის.)

ა ნ ტ ი ფ ი ლ ო ს ი რ ა კ უ ზ ე ლ ო

რა ვთქვა, არ ვიცი, რასა ნიშნავს ნეტა ყოველი,
არ აიღებდა ამ ყელსაბამს მხოლოდ სულელი.

აქ უხარჯველად შეიძლება კარგი ცხოვრება,

აქ ხომ ქუჩაში გთავაზობენ ოქროს ქონებას,

ბაზარში წავალ, იქ დრომიოს დაველოდები,

გუმი თუ ვნახე, აქ ერთ წამსაც არ დავყოვნდები.

(გადის.)

მ ა რ ა მ ა დ ა მ ა რ თ ხ ა

ს უ რ ა თ ი ა მ ი რ ვ ე ლ ო

ივანე.

შემოდიან: ვაჭარი, ა ნ ჯ ე ლ ო და ბოჭაულ ო.

ვაჭარ ო

თქვენ ჩემი გმართებთ სულიშმიდის მოფენის დღიდან
და ჩემი ვალი მას შემდეგ არ მომითხოვია,
არც ახლა გთხოვდით, მაგრამ სპარსეთს მივემზავრები
და ამიტომაც მე სამგზავროდ მჭირდება ფული.

გადამისადეთ მე, ბატონო, თქვენ ჩემი ვალი,
თორემ ბოქაულს დასასჯელად უნდა გადაგცეთ.

ა ნ ჯ ე ლ ო

სუსტად ევ თანხა, მე რომ მმართებს თქვენი, ბატონო,
მოვალე არის ანტიფოლე გადამისადოს.

სულ ეს წამია, ჩემო კარგო, ვიდრე გნახავდით,
ოქროსი მივეც ანტიფოლეს მე ყელსაბამი,
რის საფასურსაც დღეს საღამოს მისგან მივიღებ.
წავიდეთ მასთან, მეგობარო, ვეწვიოთ სახლში,
რომ ჩემი ვალი გამოვართვა და გაგისტუმროთ.

(ა ნ ტ ი ფ ი ლ ო ე ფ ე ს ე ლ ო და დრომი ე ფ ე ს ე ლ ო
გამოდიან კურტიზანი ქალის სახლიდან.)

ბოჭაულ ო

აგერ თვითონაც, არსად წასვლა აღარ გჭირდებათ.

ა ნ ტ ი ფ ი ლ ო ე ფ ე ს ე ლ ო (დრომიოს.)

ოქრომჭედელთან მე მივდივარ, შენ თოქს იყიდი,
დავასანექრებ ჩემს ცოლსა და მის თანმმარტველო,
სახლის კარი რომ დღისით, მზისით გამომიკეტეს.
მაგრამ შეხედე, აი, თვითონ ოქრომჭედელიც.
თოკი იყიდე დრომიო და შინ მოიტანე.

დრომი ე ფ ე ს ე ლ ო

ვიყიდე, ვითომც ათასი გირვანქა წლიური შემოსავალ
მეყიდოს.

(გადის.)

ა ნ ტ ი ფ ი ლ ო ე ფ ე ს ე ლ ო

კარგი ამბავი კი მოუვა მას, ვინც გენდობათ!
მეგონა, ჩვენთან მოიტანდით თქვენ იმ ყელსაბამს,
მაგრამ, ბატონო, დაიკარგეთ ყელსაბმიანდ,
იქნებ იფიქრეთ, თქვენი ძეწკვით გადაბმულები,

ჩქენ ხევნა-კოცნას უსასრულოდ გავაგრძელებდით
და ამიტომაც გვალოდინეთ და არ მოხვედით.

ა ნ ჯ ე ღ ღ ღ

თქვენ ისევ ხუმრობთ, ანგარიში აი, ინგვთ,
აქა წერია ყელსაბამის წონა კარატით,
რა ღირს ხელობა, როგორია ამ ოქროს სინჯი;
აქ კველაფერი მეტი არის სამი დუკატით,
ვალზე, რომელიც ამ ვაჭრისან თვითონ ავიდე,
გთხოვთ გადუხადოთ, დამერწმუნეთ, გზას ადგას უპვ
და ჩემგან ფულის მისაღებად ყოვნდება მხოლოდ.

ა ნ ტ ი ფ თ ღ ღ ღ

ფული თან არ მაქს, მე საქმეზე მამეჩქარება,
წაბრძანდით ჩემთან, მიუტანეთ ცოლს ყელსაბამი,
ის გადაგიხდით, დამერწმუნეთ, სულმთლად საფასურს,
მაგ დღისათვის აღბათ უკვე მეც დაგრძნდები.

ა ნ ჯ ე ღ ღ ღ

თვითონ მიუტანთ ამ ყელსაბამის თქვენს ცოლს, ბატონო?

ა ნ ტ ი ფ თ ღ ღ ღ

არა, წაუდეთ, მე იქნება შემაგვიანდეს.

ა ნ ჯ ე ღ ღ ღ

კეთილი, მაგრამ ყელსაბამი მგონი თქვენა გაქვთ.

ა ნ ტ ი ფ თ ღ ღ ღ

თქვენ ასე ფიქრობთ? მე მგონია, თქვენ უნდა გქინდეთ,
თორებ უფულოდ მოგიხდებათ წასვლა აქედან.

ა ნ ჯ ე ღ ღ ღ

ქმარა, ბატონო, გეხვეწებით, მომეცით ძეწკვი,
ზღვის მოქცევაა, სასურველი ქრის ზურგის ქარიც,
ამ კაცს ნეტავი რად ვაყოვნებთ, თქვენ გვეკითხებით.

ა ნ ტ ი ფ თ ღ ღ ღ

